საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 10204/01
28/09/2021

10204-01-2-202109281329

შპს „ივრის ნუშებს“

მის: სიღნაღის რაიონი, ს. ნუკრიანი, მე–2 ქ., N 98

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 20 სექტემბერს N16856 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბოდბეში სამელიორაციო სისტემის მოწყობას და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და ასახული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, შპს „ივრის ნუშები“ 50 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი 56.10.70.165 56.10.70.163) გეგმავს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, კერძოდ, ნუშის ბაღების გაშენებას და ბაღის მოსარწყავად წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობას. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ - „უახლოს პერიოდში (2021-2022 წლებში) იგეგმება გასაშენებელი ფართობის გაზრდა 100 ჰექტრამდე, შესაბამისად სკრინინგის ანგარიშში მოცემული მახასიათებლები, სიმძლავრეები და მოცულობები სრულად მორგებულია 100 ჰექტრისთვის საჭირო მონაცემებს.” აღნიშნულის გათვალისწინებით დაზუსტებას საჭიროებს მოსარწყავი ტერიტორიის ფართობი, შესაბამისი საკადასტრო კოდების მითითებით. ამასთანავე, დაზუსტებას საჭიროებს სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი წლიურად მოხმარებული წყლის რაოდენობა (59,591 $მ^3$) გაანგარიშებულია 50 ჰა თუ 100 ჰა მიწის ნაკვეთის მორწყვისათვის;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, სამელიორაციო სისტემის მოწყობა დაგეგმილია 56.10.70.165 და 56.10.70.163 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე. თუმცა მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით - 56.10.70.165 არ წარმოადგენს კომპანიის საკუთრებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიის საკუთრების ან იჯარის ხელშეკრულების დამადასტურებელი დოკუმენტი.
- სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი და დაზუსტებას საჭიროებს წყლის შემკრები ავზის ტიპი (პოლიეთილენის, ბეტონის, გრუნტის და ა.შ.) და

მოცულობა, ასევე მოწყობის ეტაპზე გარემოზე შესაძლო ზემოქედების შესახებ ინფორმაცია.

- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის შესახებ ინფორმაცია;
- საპროექტო ტერიტორიასა და მდ. იორს შორის მდებარეობს სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იყოს მიწის მესაკუთრეებთან შეთანხმების შესახებ ინფორმაცია/დოკუმენტაცია;
- სკრინინგის განცხადებაში ასახული უნდა იყოს ინფორმაცია სამელიორაციო სისტემის მოწყობის სამუშაოების ხანგრძლივობისა (სამუშაო რეჟიმი) და დასაქმებული ადამიანების რაოდენობის შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის განხილული ინფორმაცია მდინარე იორზე სხვა წყალმომხმარებლების შესახებ;
- სკრინინგის განცხადების თანახმად დაგეგმილია არმირებული მოედანის მოწყობა (2X2მ) სადაც განთავსდება სატუმბი სადგური, თუმცა არ არის წარმოდგენილი სატუმბი სადგურის განთავსების ტერიტორიის მდებარეობის შესახებ ინფორმაცია (GPS კოორდინატები), ასევე სატუმბ სადგურამდე ელ. ენერგიის მიყვანის საკითხი;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, „შერჩეული საპროექტო ტერიტორია არ ექცევა რაიმე დაცული ტეირტორიის ფარგლებში", თუმცა მონაცემების ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ წყალაღების წერტილი მდებარეობს იორის აღკვეთილის ტერიტორიაზე. შესაბამისად, წარმოდგენილ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან შესაბამისი შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ამასთან, დაზუსტებას საჭიროებს დაცულ ტერიტორიაზე დაგეგმილი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედების საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „ივერის ნუშები" უზრუნველყოფს განახლებული/სრულყოფილი სკრინინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენას აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე